

რეგისტრატორის ხელშეკრულება

1. ხელშეკრულების მხარეები

- 1.1 შპს „კავკასუს ონლაინ“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი კომპანია საიდენტიფიკაციო ნომრით 211380833, იურიდიული მისამართი საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, წინამძღვრიშვილის ქ. #160 (შემდგომში „ადმინისტრატორი“ ან „კავკასუს ონლაინ“);
- 1.2 [იურიდიული პირის სახელი], [საიდენტიფიკაციო ნომერი], [იურიდიული მისამართი] (შემდგომში „რეგისტრატორი“).

რეგისტრატორი და ადმინისტრატორი ერთობლივად მოხსენებული, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც „მხარე“.

2. პრეამბულა

- ვინაიდან, **ადმინისტრატორი** უზრუნველყოფს საქართველოში .GE ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის ადმინისტრირებას, **დომენური სახელების რეგისტრის** წარმოებას .GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებსა („დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესები“) და სხვა სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით;
- ვინაიდან, **ადმინისტრატორმა** დაადასტურა რეგისტრატორის მიერ დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების შესაბამისად წარდგენილი განაცხადი და რეგისტრატორს ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან აქვს უფლება და ვალდებულება გაუწიოს **სარეგისტრაციო მომსახურება რეგისტრანტებს** და მიიღოს ანაზღაურება რეგისტრანტისგან ასეთი მომსახურების განწევისთვის;
- ვინაიდან, რეგისტრატორს გააჩნია საკმარისი კვალიფიკაცია, რომ დააკმაყოფილოს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების და წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები;
- ვინაიდან, მხარეთა სურვილია უზრუნველყონ რეგისტრანტების მიერ დომენური სახელის რეგისტრაციის, გამოყენების უსაფრთხოება და ხარისხი.

შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

3. ტერმინთა განმარტება

- 3.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ ამ ხელშეკრულებაში და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში მინიჭებული მნიშვნელობა.

- 3.2 შემდეგ ტერმინებს, თუ სხვაგვარად არ მოითხოვს კონტექსტი, აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
- 3.2.1 „ხელშეკრულება“ ნიშნავს წინამდებარე რეგისტრატორის ხელშეკრულებას მისი ყველა დანართით;
- 3.2.2 „ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი“ ნიშნავს თარიღს, როდესაც ძალაში შედის დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესები;
- 3.2.3 „დომენური სახელების რეესტრი“ ნიშნავს რეესტრს, რომელიც მოიცავს ყველა დომენურ სახელს, რომელიც დარეგისტრირებულია ზედა დონის .GE ზონაში;
- 3.2.4 „ტექნიკური პირობები“ ნიშნავს ადმინისტრატორის მიერ დადგენილ ტექნიკურ პირობებს, როგორც ეს გათვალისწინებულია #2 დანართში. ადმინისტრატორი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს #2 დანართში მოცემული პირობები, რის შესახებაც უნდა აცნობოს რეგისტრატორს ასეთი ცვლილების ძალაში შესვლამდე სულ მცირე 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე რეგისტრატორის ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნით.
- 3.2.5 „კომპეტენციის მოთხოვნები“ ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს რეგისტრატორი.
- 3.3 მითითება საკანონმდებლო აქტზე ან საკანონმდებლო აქტის დებულებაზე ნიშნავს მითითებას ამ საკანონმდებლო აქტზე მისი ნებისმიერი ცვლილებების, დამატების ან განახლების გათვალისწინებით და მოიცავს მის საფუძველზე მიღებულ ნებისმიერ კანონქვემდებარე აქტს.
- 3.4 მუხლების სათაურები გამოყენებულია მხოლოდ მოხერხებულობისთვის და მათ გავლენა არ აქვთ ხელშეკრულების განმარტებაზე.
- 3.5 ნებისმიერი მითითება „პირზე“ მოიცავს ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, სახელმწიფოს ან სახელმწიფო დაწესებულებას ან ნებისმიერ ასოციაციას, ფონდს ან ამხანაგობას (მიუხედავად იმისა არიან თუ არა ისინი დამოუკიდებელი სამართალ სუბიექტები) ან აღნიშნულთაგან ორს ან მეტს; აგრეთვე, მითითება ნებისმიერ „პირზე“ მოიცავს მის სამართალმემკვიდრეებს, ნებადართულ უფლებამონაცვლეებსა და უფლებების გადამცემ პირებს.

4. ზოგადი დებულებები

4.1 ხელშეკრულების საგანი

- 4.1.1 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით რეგისტრატორი იღებს ავტორიზაციას, უფლებას და ვალდებულებას გაუწიოს სარეგისტრაციო მომსახურება რეგისტრანტებს წინამდებარე ხელშეკრულების და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების შესაბამისად.

4.2 ექსკლუზიურობის არარსებობა

- 4.2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრატორისთვის მინიჭებული უფლებამოსილებები არ არის ექსკლუზიური და ხელშეკრულებაზე ხელმოწერა არ უკრძალავს ადმინისტრატორს, რომ გააფორმოს ხელშეკრულებები სხვა რეგისტრატორებთან.

5. კომპეტენციის მოთხოვნები

- 5.1 რეგისტრატორი ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთ ჩამოთვლილ კომპეტენციის მოთხოვნებს:
- 5.1.1 რეგისტრატორს უნდა გააჩნდეს საჭირო ტექნიკური და ორგანიზაციული რესურსი, რომ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და გასწიოს სარეგისტრაციო მომსახურება;
- 5.1.2 რეგისტრატორი უნდა აკმაყოფილებს წინამდებარე ხელშეკრულების #1 დანართში მითითებულ პირობებს;
- 5.1.3 რეგისტრანტებისთვის სარეგისტრაციო მომსახურების განცვის მიზნებისთვის, რეგისტრატორს უნდა შეეძლოს უზრუნველყოს ელექტრონული ფოსტის ფუნქციონირება, ასეთი ელექტრონული ფოსტის მისამართი უნდა იყოს გამოქვეყნებული რეგისტრატორის ვებ-გვერდზე;
- 5.1.4 რეგისტრატორს მისი საქმიანობის განხორციელების პროცესში უნდა ჰქონდეს დადგენილი შიდა რეგულაციები, რომელი რეგულაციებიც აწესრიგებს რეგისტრატორის თანამშრომლების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას, მათ შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ერთიანობას, არასაჭირო ასლების გაკეთების შეზღუდვას და რეგისტრატორმა უნდა უზრუნველყოს აღნიშნული შიდა რეგულაციების შესრულების კონტროლი.
- 5.2 ადმინისტრატორი უფლებამოსილია აკონტროლოს რეგისტრატორის მიერ კომპეტენციის მოთხოვნების შესრულება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, მათ შორის, სამუშაო დროის განმავლობაში რეგისტრატორის ადგილსამყოფელზე შემოწმებით, რეგისტრატორისთვის გონივრული ვადის ფარგლებში წინასწარი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. რეგისტრატორი ვალდებულია, ნება დართოს ადმინისტრატორს, რომ კონტროლის მიზნებისთვის შეამოწმოს საჭირო მონაცემები და ასევე კეთილსინდისიერად ითანამშრომლოს ადმინისტრატორთან.

6. სარეგისტრაციო მომსახურება

- 6.1 რეგისტრატორი ვალდებულია სარეგისტრაციო მომსახურება გაუწიოს რეგისტრანტებს, რომელთაც წარადგინეს სარეგისტრაციო მომსახურების

გასაწევად განაცხადი, დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების და რეგისტრატორსა და რეგისტრანტს შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად.

- 6.2 რეგისტრატორი ვალდებულია სარეგისტრაციო მომსახურების განწვევის შესახებ ხელშეკრულება რეგისტრანტთან დადოს ელექტრონული ფორმით, ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელთაც ექნებათ თანაბარი იურიდიული ძალა.
- 6.3 რეგისტრანტსა და რეგისტრატორს შორის გასაფორმებელი სარეგისტრაციო მომსახურების განწვევის შესახებ ხელშეკრულება, მათ შორის და არამხოლოდ, უნდა შეიცავდეს შემდეგ მინიმალურ პირობებს:
 - 6.3.1 რეგისტრატორის ვალდებულებას ადმინისტრატორის წინაშე, რომ შეასრულებს ძალაში მყოფ დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებს და შესაბამის ინსტრუქციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც გამოქვეყნებულია ადმინისტრატორის ვებ-გვერდზე.
 - 6.3.2 რეგისტრანტის თანხმობას, რომ ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოითხოვოს რეგისტრანტისგან ადმინისტრატორის წინაშე მისი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც განერილია სარეგისტრაციო მომსახურების განწვევის შესახებ ხელშეკრულებაში და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში.
 - 6.3.3 რეგისტრანტის თანხმობას დომენურ სახელებთან დაკავშირებული დავების მოგვარების ერთიან პოლიტიკაზე (Uniform Domain Name Dispute Resolution Policy “UDRP”), მათ შორის, წესებზე და დამატებით რეგულაციაზე, რომლებიც წარმოადგენს რეგისტრანტსა და რეგისტრატორს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და რეგისტრანტის თანხმობას WIPO-ს არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრის კომპეტენციაზე განიხილოს დავები ინგლისურ ენაზე UDRP-ის შესაბამისად. ძალაში მყოფი UDRP, წესები და დამატებითი რეგულაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-გვერდზე: <http://www.wipo.int/amc/en/domains/cctld/ge/index.html>.

7. რეგისტრატორის უფლებები და ვალდებულებები სარეგისტრაციო მომსახურების განწვევისას

- 7.1 რეგისტრატორი ვალდებულია გაუწიოს სარეგისტრაციო მომსახურება რეგისტრანტებს წინამდებარე #2 დანართში მოცემული ტექნიკური პირობების შესაბამისად.
- 7.2 რეგისტრატორი უფლებამოსილია სარეგისტრაციო მომსახურების განწვევის დაწყებამდე შეამოწმოს რეგისტრანტის ან/და მისი წარმომადგენლის ვინაობა დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით დადგენილი წესის შესაბამისად.

- 7.3 რეგისტრატორი ვალდებულია გასწიოს სარეგისტრაციო მომსახურება კეთილსინდისიერად წინამდებარე ხელშეკრულების და დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების შესაბამისად.
- 7.4 რეგისტრატორი ვალდებულია რეგისტრანტებისთვის სარეგისტრაციო მომსახურების განწვევას რეგისტრანტისთვის გაითვალისწინოს შემდეგი ფინანსური პირობები:
- 7.4.1 დომენური სახელის რეგისტრაციის განახლების საფასური მოცემული უნდა იყოს რეგისტრატორსა და რეგისტრანტს შორის გასაფორმებელ სარეგისტრაციო მომსახურების განწვევის შესახებ ხელშეკრულებაში.
- 7.4.2 დომენის რეგისტრაციის და ადმინისტრაციის წესების ძალაში შესვლის თარიღამდე რეგისტრირებული შემდეგი ტიპის დომენური სახელების, რომლებიც დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების 5.4.6 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრატორის ცვლილების პროცედურის შესაბამისად გადაეცა რეგისტრატორს, რეგისტრაციის განახლების საფასური:
- (i) .ge დაბოლოების მქონე დომენური სახელის შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 30 (ოცდაათი) ლარს;
 - (ii) ზოგადი დომენური სახელის შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 12 (თორმეტი) ლარს.
- 7.4.3 რეგისტრატორის მიერ რეგისტრანტისთვის .ge დაბოლოების მქონე დომენური სახელის რეგისტრაციისთვის დაწესებული ყოველწლიური საფასური არ უნდა იყოს 28 (ოცდარვა) ლარზე ნაკლები, ხოლო ზოგადი დომენური სახელის შემთხვევაში - 10 (ათი) ლარზე ნაკლები.
- 7.5 რეგისტრატორი უფლებამოსილია გაუწიოს სარეგისტრაციო მომსახურება იმ რეგისტრანტებს, რომლებმაც სარეგისტრაციო განაცხადი რეგისტრატორთან წარადგინეს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღის შემდგომ და იმ რეგისტრანტებს, რომლებმაც დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების შესაბამისად მოითხოვეს რეგისტრატორის ცვლილება.
- 7.6 ადმინისტრატორი უფლებამოსილია მოითხოვოს რეგისტრატორისგან გარკვეული ქმედებების განხორციელება მისი კომპეტენციის ფარგლებში, თუ ასეთი აუცილებელია სასამართლოს ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

8. რეგისტრატორის განცხადებები და გარანტიები

- 8.1 რეგისტრატორი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:
- 8.1.1 რეგისტრატორი წარმოადგენს სათანადოდ დაფუძნებულ იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- 8.1.2 **რეგისტრატორს** აქვს ყველა შესაბამისი უფლებამოსილება გააფორმოს ეს ხელშეკრულება და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- 8.1.3 **რეგისტრატორის** მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერა და შესრულება ა) არ ეწინააღმდეგება **რეგისტრატორის** შიდა ორგანიზაციულ დოკუმენტებს და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტებს; ბ) არ არღვევს, არ ეწინააღმდეგება ან არ გამოიწვევს **რეგისტრატორის** მხრიდან რაიმე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, რომლის მხარე არის **რეგისტრატორი**; გ) არ დაარღვევს მარეგულირებელ კანონმდებლობას.
- 8.1.4 **რეგისტრატორი** აკმაყოფილებს #1 დანართით განსაზღვრულ **რეგისტრატორისთვის** დადგენილ მოთხოვნებს და აქვს შესაძლებლობა სარეგისტრაციო მომსახურება გაუწიოს **რეგისტრანტებს** #2 დანართით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

9. ადმინისტრატორის განცხადებები და გარანტიები

- 9.1 ადმინისტრატორი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:
- 9.1.1 **ადმინისტრატორი** წარმოადგენს სათანადოდ დაფუძნებულ იურიდიულ პირს და ახორციელებს .GE ზედა დონის დომენში ქვეყნის კოდის ადმინისტრირებას საქართველოში.
- 9.1.2 **ადმინისტრატორს** აქვს ყველა შესაბამისი უფლებამოსილება გააფორმოს ეს ხელშეკრულება და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით და **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებით** ნაკისრი ვალდებულებები.
- 9.1.3 **ადმინისტრატორის** მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერა და შესრულება ა) არ ეწინააღმდეგება **ადმინისტრატორის** შიდა ორგანიზაციულ დოკუმენტებს და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტებს; ბ) არ არღვევს, არ ეწინააღმდეგება ან არ გამოიწვევს **ადმინისტრატორის** მხრიდან რაიმე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, რომლის მხარე არის **ადმინისტრატორი**; გ) არ დაარღვევს მარეგულირებელ კანონმდებლობას.

10. რეგისტრანტის მონაცემები

- 10.1 სარეგისტრაციო განაცხადის წარდგენისას **რეგისტრატორი რეგისტრანტისგან** ითხოვს ინფორმაციას, როგორც ეს მითითებულია **დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესებში**. **რეგისტრატორი** არ არის უფლებამოსილი დაიწყოს **რეგისტრანტისთვის** სარეგისტრაციო მომსახურების გაწევა მანამ, სანამ **რეგისტრანტი** არ წარადგენს საჭირო მოთხოვნილ ინფორმაციას და დოკუმენტებს.

10.2 რეგისტრატორი ვალდებულია წარუდგინოს ადმინისტრატორს რეგისტრანტის ელექტრონული განაცხადი წინამდებარე #2 დანართში მითითებული ტექნიკური პირობების შესაბამისად.

11. დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესები

11.1 რეგისტრატორმა უნდა გამოიყენოს და გაითვალისწინოს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების პირობები რეგისტრანტთან გასაფორმებელ სარეგისტრაციო მომსახურების განევის შესახებ ხელშეკრულებაში. რეგისტრატორმა უნდა გახადოს დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესები ხელმისაწვდომი მის ვებ-გვერდზე რეგისტრანტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისგან განცალკევებით.

12. ჩანაწერების შენახვა

12.1 წინამდებარე 6.3 მუხლში მითითებული თანხმობები უნდა იყოს რეგისტრატორის მიერ დაფიქსირებული რეგისტრანტთან გასაფორმებელ სარეგისტრაციო მომსახურების განევის შესახებ ხელშეკრულებაში. რეგისტრატორმა ადმინისტრატორის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში ადმინისტრატორს უნდა წარუდგინოს რეგისტრანტებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები. ადმინისტრატორი უფლებამოსილია გააკეთოს ასეთი მომსახურების ხელშეკრულებების ასლები.

12.2 რეგისტრატორი ვალდებულია შეინახოს სარეგისტრაციო მომსახურების განევისთან დაკავშირებული დოკუმენტები მათ შორის რეგისტრანტის მიერ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, ელექტრონული ლოგები და წარუდგინოს ადმინისტრატორს მოთხოვნის შემთხვევაში. ადმინისტრატორი უფლებამოსილია გააკეთოს ასეთი დოკუმენტების ასლები.

12.3 რეგისტრატორი ვალდებულია წინამდებარე 12.1 და 12.2 მუხლებში მითითებული დოკუმენტები შეინახოს უსაფრთხოდ და დაიცვას შემთხვევითი დაზიანების/განადგურებისგან.

12.4 რეგისტრატორი ვალდებულია შეინახოს წინამდებარე 12.1 და 12.2 მუხლებში მითითებული დოკუმენტები ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში და ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში გარდა იმ შემთხვევისა თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ რეგისტრატორმა დოკუმენტები გადასცა ადმინისტრატორს ან რეგისტრანტმა მოითხოვა თავისი პერსონალური მონაცემების წაშლა რეგისტრატორისგან.

12.5 ადმინისტრატორის მოთხოვნის შემთხვევაში რეგისტრატორი ვალდებულია წერილობითი ფორმით გადასცეს ადმინისტრატორს ინფორმაცია და

დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა რეგისტრატორის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლისათვის ადმინისტრატორის მხრიდან.

- 12.6 ადმინისტრატორი უფლებამოსილია აკონტროლოს რეგისტრატორის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულება, მათ შორის, ტექნიკური პირობების შესრულება, სამუშაო დროს იმ ადგილის შემონახვით, სადაც რეგისტრატორი ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებას, რეგისტრატორისთვის წინასწარი ელექტრონული ფორმით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

13. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

- 13.1 რეგისტრატორი ვალდებულია დაამუშაოს რეგისტრანტის პერსონალური მონაცემები მის ბაზაზე რეგისტრანტის თანხმობის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულების #4 დანართისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. რეგისტრატორი ვალდებულია რეგისტრანტთან გასათვორმებელ სარეგისტრაციო მომსახურების განწვევის ხელშეკრულებაში მიუთითოს რეგისტრანტის თანხმობის შესახებ ასეთი რეგისტრანტის პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორისათვის გადაცემაზე.

14. ადმინისტრატორის მიერ რეგისტრანტების ინფორმირება

- 14.1 რეგისტრატორი ვალდებულია გადაუგზავნოს რეგისტრანტს ან/და რეგისტრანტის ადმინისტრაციულ საკონტაქტო პირს ადმინისტრატორისგან მიღებული ის ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრულია რეგისტრანტისთვის.

15. რეგისტრატორის მიერ მოვალეობის შესრულების პროფესიული წესები

- 15.1 რეგისტრატორის სახელზე რეგისტრირებული დომენური სახელების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეგისტრატორის პორტფელში შემავალი დომენური სახელების რაოდენობის 10%-ს (ათი პროცენტი).
- 15.2 რეგისტრატორმა არ უნდა გადატვირთოს სახელის სერვერი ან შეათერხოს (მაგალითად დააორგანიზოს მომსახურების ხელმიუწვდომლობის გამომწვევი კიბერ თავდასხმა [DOS]) ან განახორციელოს სხვა ქმედება, რომელიც სახელის სერვერის სისტემის სრულყოფილ და სტაბილურ მუშაობას შეუქმნის საფრთხეს.
- 15.3 რეგისტრატორი ვალდებულია კეთილსინდისიერად იმოქმედოს ადმინისტრატორთან მიმართებაში და შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. რეგისტრატორმა არ უნდა გამოიყენოს არაკეთილსინდისიერად ადმინისტრატორის სისტემა და პროგრამული უზრუნველყოფა.
- 15.4 რეგისტრატორი უფლებამოსილია ჰყავდეს ქვეკონტრაქტორები, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან რეგისტრატორის სახელითა და ნაცვლად მიიღონ რეგისტრანტებისგან განაცხადები სარეგისტრაციო მომსახურების განწვევასთან

დაკავშირებით და შეასრულონ რეგისტრატორზე დაკისრებული სხვა მოვალეობები. რეგისტრატორი ადმინისტრატორისა და რეგისტრანტების წინაშე ერთპიროვნულად აგებს პასუხს ქვეკონტრაქტორების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე დომენურ სახელთან დაკავშირებით.

- 15.5 ადმინისტრატორის სისტემაში რაიმე ხარვეზის ან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში რეგისტრატორი პირველ რიგში ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ადმინისტრატორს. რეგისტრატორმა არ უნდა აცნობოს მესამე პირებს ან არ უნდა გახადოს საჯარო აღნიშნული ინფორმაცია ადმინისტრატორისგან შესაბამისი წინასწარი თანხმობის მოპოვების გარეშე, თუ აღნიშნული გამოიწვევს ადმინისტრატორის ან სხვა მესამე პირების ინტერესების დაზიანებას.

16. ფინანსური პირობები

- 16.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე რეგისტრატორის მიერ ადმინისტრატორისთვის გადასახდელი თანხა და გადახდის პირობები მოცემულია ხელშეკრულების #3 დანართში. რეგისტრატორი გაეცნო და ეთანხმება ხელშეკრულების #3 დანართს.
- 16.2 ადმინისტრატორი უფლებამოსილია შეცვალოს #3 დანართში მოცემული პირობები დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების შესაბამისად.

17. ზიანის ანაზღაურება

- 17.1 რეგისტრატორი და ადმინისტრატორი ვალდებული არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს ნებისმიერი პირდაპირი ზიანი, რომელიც გამომდინარეობს ხელშეკრულების დარღვევისგან და რომელიც გამოწვეულია მხარის, ხოლო რეგისტრატორის შემთხვევაში ასევე რეგისტრატორის ქვეკონტრაქტორების განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით.

18. სანქციები

18.1 გაფრთხილება და ჯარიმები

- 18.1.1 რეგისტრატორის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრატორმა რეგისტრატორს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უნდა გაუგზავნოს გაფრთხილება დარღვევის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც შეიცავს წინამდებარე 18.1.2 მუხლში მითითებულ ინფორმაციას.
- 18.1.2 რეგისტრატორისთვის გასაგზავნ შეტყობინებაში ადმინისტრატორმა უნდა მიუთითოს იმ ვალდებულებებზე, რომელსაც არღვევს რეგისტრატორი და

მიუთითოს ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ასეთი ვადა არ უნდა იყოს 1 (ერთი) სამუშაო დღეზე ნაკლები.

- 18.1.3 **ადმინისტრატორი** უფლებამოსილია მოითხოვოს თითოეულ დარღვევის ფაქტზე ზიანის ანაზღაურება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს ფულადი ჯარიმა დარღვევისათვის.
- 18.1.4 იმ შემთხვევაში, თუ **რეგისტრატორი** არ აღმოფხვრის დარღვევის ფაქტს შეტყობინებაში მითითებულ ვადაში და არ გადაიხდის ჯარიმას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში **ადმინისტრატორი** უფლებამოსილია დარღვევის აღმოფხვრამდე და ჯარიმის სრულად გადახდამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეუჩეროს **რეგისტრატორს** წინამდებარე **ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელება: ახალი **დომენური სახელების რეგისტრაცია**, **რეგისტრაციის განახლება**, **დომენური სახელის რეგისტრატორის ცვლილების შედეგად დომენური სახელის რეგისტრატორობის უფლების მოპოვება**.

18.2 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა

- 18.2.1 **ადმინისტრატორი** უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს **ხელშეკრულება რეგისტრატორისთვის** ამის შესახებ წინასწარი 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე შეტყობინების გაგზავნით იმ შემთხვევაში თუ 18.1.4 მუხლის შესაბამისად **ადმინისტრატორმა** შეაჩერა ხელშეკრულების მოქმედება, ხოლო **რეგისტრატორმა** არ აღმოფხვრა ხელშეკრულების დარღვევა შეჩერებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში.
- 18.2.2 **ადმინისტრატორი** უფლებამოსილია ცალმხრივად ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე **ხელშეკრულება რეგისტრატორის მიერ ხელშეკრულების უხეში დარღვევის შემთხვევაში**. მხარეები თანხმდებიან რომ წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის უხეში დარღვევა გულისხმობს:
- 18.2.2.1 **რეგისტრატორის მიერ ხელშეკრულების 15.2 მუხლის დარღვევა;**
- 18.2.2.2 **რეგისტრატორის მიერ ხელშეკრულების მე-16 მუხლით და #3 დანართით გათვალისწინებული გადახდის პირობის დარღვევა, რაც გულისხმობს განსაზღვრული სადეპოზიტო თანხის გადაუხდელობას.**

19. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

- 19.1 წინამდებარე **ხელშეკრულება** ძალაში შედის **ხელშეკრულების თარიღზე** და მოქმედებს 6 (ექვსი) თვის ვადით. თუ **ხელშეკრულების** ვადის გასვლამდე 2 (ორი) თვით ადრე რომელიმე მხარემ მეორე მხარეს არ შეატყობინა **ხელშეკრულების შეწყვეტის** შესახებ, **ხელშეკრულების** მოქმედება გრძელდება იმავე ვადითა და პირობებით; აღნიშნული პირობა ვრცელდება ყოველ მომდევნო პერიოდზე.

მხარეები უფლებამოსილნი არიან შეწყვიტონ ხელშეკრულება ურთიერთშეთანხმების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ შემთხვევაში ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

20. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

- 20.1 ნებისმიერი სახის დავა მხარეებს შორის, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 20.2 ადმინისტრატორს და რეგისტრატორს შორის ურთიერთობებზე და ხელშეკრულებაზე ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა.

21. კონფიდენციალურობა

- 21.1 მხარეები ვალდებული არიან არ გაამჟღავნონ ხელშეკრულების მოქმედების დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია ხელშეკრულების მოქმედების და მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ 5 წლის განმავლობაში.
- 21.2 ხელშეკრულების მიზნებისათვის კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციას, რომელიც გადაეცა / გადაეცემა ერთ მხარეს ნებისმიერი ფორმით მეორე მხარისაგან ან/და მისი ნებისმიერი თანამშრომლისაგან ან/და კონტრაქტორი პირისაგან ან/და ასეთი კონტრაქტორი პირის ნებისმიერი თანამშრომლისაგან, ნებისმიერი საფუძვლითა და მოტივით, აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მხარე მოიპოვებს (ან რომელიც უკვე მოპოვებული აქვს) ამ მუხლში აღნიშნული პირებისაგან ზეპირი თუ წერილობითი ფორმით.

22. დასკვნითი დებულებები

- 22.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობების მესამე მხარისთვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია.
- 22.2 მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების დებულებები და მათგან გამომდინარე მხარეთა უფლებები და ვალდებულებები სრულად ვრცელდება მათ სამართალმემკვიდრეებზე ან/და უფლებამონაცვლეებზე.
- 22.3 ხელშეკრულება შეიცავს მხარეთა შეთანხმების საბოლოო და სრულ პირობებს და ცვლის მხარეთა ყველა წინა მიმოწერას და წინასწარ მოლაპარაკებებს ამ საგნის შესახებ.
- 22.4 წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

22.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

23. მხარეთა საბანკო რეკვიზიტები

ადმინისტრატორი:

მიმღების ბანკი	სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი	TBCBGE22
მიმღების ანგარიში:	GE21TB1189136020100008
მიმღების სახელი	შპს „კავკასუს ონლაინ“
ს/კ	211380833

რეგისტრატორი: [*]

21. მხარეთა ხელმოწერები

რეგისტრატორის სახელით

ადმინისტრატორის სახელით

დანართები

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს:

#1 დანართი: რეგისტრატორისთვის დადგენილი მოთხოვნები

#2 დანართი: ტექნიკური პირობები

#3 დანართი: ტარიფები და გადახდის პირობები

#4 დანართი: პერსონალურ მონაცემთა დამუშავების წესები

#5 დანართი: .GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესები